ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ. ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 790 20-33-05

24 სექტემბერი 2014 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №84

“ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა მინიმალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ”

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[1] მუხლის თანახმად

საკრებულო ადგენს:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა მინიმალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ” - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა მინიმალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ”- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე

პროექტი

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა მინიმალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის **საკრებულო ადგენს:**

მუხლი 1.

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა მინიმალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები (დანართი თან ერთვის)

მუხლი 2.

დადგენილებით განსაზღვრული მინიმალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილება სავალდებულოა საკრებულოს აპარატის შტატით გათვალისწინებული თანამდებობების დასაკავებლად.

მუხლი 3.

ატესტაციისას მოხელეთა და კონკურსის ჩატარებისას კანდიდატთა შეფასება განხორციელდეს ამ დადგენილებით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 4.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პროექტი მოამზადა: მარინე ბერაძე

დანართი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა მინიმალური და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები

მუხლი 1.

1. დადგენილებით განსაზღვრული მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილება სავალდებულოა საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა თანამდებობის დასაკავებლად, რომელიც თანამდებობათა მიხედვით მოიცავს:

ა) უმაღლეს, საშუალო განათლებას, სამუშაო გამოცდილებას;

ბ)ელექტრონული საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის მეშვეობით საქმისწარმოებას /დოკუმენტის მიღება, შედგენა, გადაგზავნა/;

გ) ქართულ ენაზე, გამართული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარს;

დ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Internet Explorer-ის სამომხმარებლო დონეზე ცოდნას;

ე) პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამის მენეჯერულ უნარებს;

2. საკრებულოს აპარატის ყველა საჯარო მოხელისათვის სავალდებულოა შემდეგი სამართლებრივი აქტების მინიმალური ან ზოგადი ცოდნა:

ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ბ) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

გ) საქართველოს კანონი „ საჯარო სამსახურის შესახებ“;

დ) საკრებულოს რეგლამენტი;

ე) საკრებულოს აპარატის დებულება;

მუხლი 2

1. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთათვის მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ა) პროფესიული ცოდნის მოთხოვნები;

ბ) ზოგადი უნარების მოთხოვნები;

გ) პროფესიული უნარების მოთხოვნები;

2. საკრებულოს აპარატის უფროსის თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ დადგენილების პირველი და მე-2 მუხლით დადგენილი მოთხოვნებისა, სავალდებულოა არანაკლებ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, თანამდებობაზე (საჯარო ან კერძო სამსახურში) მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება, სამუშოთა აღწერილობით დადგენილი ნორმატიული აქტების ცოდნა და საჭირო უნარები.

3. საკრებულოს აპარატის განყოფილების უფროსის თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ დადგენილების პირველი და მე-2 მუხლით დადგენილი მოთხოვნებისა , სავალდებულოა არანაკლებ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, თანამდებობაზე (საჯარო ან კერძო სამსახურში) მუშაობის არანაკლებ 6 თვიანი გამოცდილება, სამუშაოთა აღწერილობით დადგენილი ნორმატიული აქტების ცოდნა და საჭირო უნარები.

3. სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად, გარდა ამ დადგენილების პირველი და მე-2 მუხლით დადგენილი მოთხოვნებისა, სავალდებულოა არანაკლებ საშუალო სპეციალური ან ტექნიკური განათლება ან ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, სამუშაოთა აღწერილობით დადგენილი ნორმატიული აქტების ცოდნა და საჭირო უნარები.